ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდერი

№5 სექტემბერი-ოქტომბერი 1998 წელი

ასწავლი უნდა სწავლობდეს
ცნობლად თავისადაო:
ნ არის, სიდამ მოსულა,
ად არის, წავა სადაო?

F-343
1998

სიმღერა ცეროდენების საყვარელ ჟურნალ «დილაზე»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

ჩვენო ლამაზო ჟურნალო,
ფურცლებხატულა „დილაო“,
სულის და გულის მკურნალო,
ჰოვ-ლიდავ, დილავ-დილაო!
გზა გქონდეს მუდამ მზით სავსე,
აგიხდეს ზღაპარ-იგავი;
მალე ჩვენს წარმტაც მიწაზე
დაფრთიანებულიყავი...
„დედა ენა“ გეავს მეგობრად,
გვახარებ ჭკვიან უმაწვილებს.
საგზლად კარგახანს გვეყოფა,
რაც უხვად გაგვინაწილე.
შენ დაუწმინდე ყველას ხმა:
ტოროლას, ბულბულს, იადონს.
ჩვენთვის ჰირველი შენა ხარ -
სიმღერა საგანთიადო.

მუსიკა ერნა წიფურიასი


moderato
ნე- ბე- რ- ყა - ვი.
ჩვენს ლამ- ზამ- ზე- ლ- ფ- ფ- ფ- ფ- ნე- ბე- რ- ყა - ვი
ბ- ზა ბ- ლ- ბ- ფ- ფ- ფ- ფ- ბ- ბ- ბ

ეკლესია-ღვთის სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

საუბარი ღვთისმშობლის ბავშვობის შესახებ

წინა წერილში ვისაუბრეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესახებ და ვთქვით, რომ ქრისტიანებს განსაკუთრებულად გვიყვარს და განსაკუთრებულად ვეთაყვანებით მას. უმისოდ ხომ ღმერთი ვერ იქცეოდა კაცად. ღმერთმა ინება ადამიანად ქცეულიყო, ადამიანური სიცოცხლით ეცხოვრა და ადამიანური სიკვდილით მომკვდარიყო, ხოლო შემდეგ მკვდრეთით აღმდგარიყო, ე.ი. დაემარცხებინა სიკვდილი. ღმერთკაცმა იესო ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი და ყველას, ვინც ქრისტეს რწმენითა და ქრისტეს მცნებებით ცხოვრობს, ქრისტეს მიერ შეუძლია მოიპოვოს მარადიული სიცოცხლე. ეს ყოველივე ვერ აღსრულდებოდა, ე.ი. ვერ მოხდებოდა ღვთისმშობლის გარეშე. ღმერთმა რომ საკუთარ დედად მარიამი აირჩია, ეს შემთხვევით არ მომხდარა. მარიამი განსაკუთრებული, ყველასაგან გამორჩეული ადამიანი იყო. მან უარი თქვა საკუთარი თავისთვის ცხოვრებაზე და ღმერთის მსახურება აირჩია. ის იყო საოცრად თავმდაბალი, მორჩილი, მშვიდი, გონიერი, ბრძენი, სათნო, გაჭირვებულთა დამხმარე, ყველა ადამიანის თანამგრძნობი და მოსიყვარულე, ძლიერი, უბედურებისა და განსაცდელის დამთმენი, მხნე.

გარდა თავად მარიამისა, მისი წინაპრებიც გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი ღვთისმოსაობით. მათ შორის იყვნენ მღვდელმთავრები და მეფეებიც, და ყველანი ისინი ცხოვრობდნენ ღმერთის რწმენითა და ღმერთის განკაცების იმედით.

მარიამის მშობლები იოაკიმ და ანა მართალი ადამიანები იყვნენ. ეს ნიშნავს, რომ ისინი მტკიცედ იცავდნენ ღვთის მცნებებს, მაგრამ ღრმა მოხუცებულობამდე შვილი არ უჩნდებოდათ. უშვილობა ძველი ებრაელებისათვის დიდ სასჯელად ითვლებოდა, ამიტომ იოაკიმ და ანა მხურვალედ ლოცულობდნენ და აღთქმაც კი დადეს, რომ თუ შვილი მიეცემოდათ, მას ღმერთს შესწირავდნენ, ე.ი. ტაძარში მიაბარებდნენ ღვთისმსახურებისათვის. რწმენასა და იმედს ისინი არ კარგავდნენ და აი, ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და მისცა მათ შვილი - გოგონა, რომელსაც მარიამი დაარქვეს და რომელიც შემდეგ ღვთისმშობელი უნდა გამხდარიყო. ეს ამბავი გვასწავლის, რომ თუ დროებით რაიმე კეთილი სურვილი არ გვისრულდება, არ უნდა დავკარგოთ ღმერთის რწმენა და იმედი, რადგან ღმერთი არის უსაზღვროდ მოწყალე, ე.ი. კაცთმოყვარე და კეთი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, და ყოველთვის იმაზე გაცილებით მეტს გვაძლევს, ვიდრე ჩვენ გვინდა და წარმოვიდგენთ. იოაკიმსა და ანას მიეცათ არა ჩვეულებრივი შვილი, არამედ ის, ვისგანაც შემდეგ ღმერთკაცი უნდა დაბადებულიყო.

მარიამი რომ მართლაც ღვთისაგან გამორჩეული ბავშვი იყო, ჩანს ერთ-ერთი გადმოცემიდან, რომელიც ეკლესიამ შემოგვინახა. როდესაც ის სამი წლისა გახდა, მშობლებმა იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს მისაბარებლად. აქ მარიამს უნდა შეესწავლა წმინდა წერილი, ე.ი. ბიბლიის წიგნები და ლოცვები, დაკავებული უნდა ყოფილიყო ტაძრის მოვლითა და ხელსაქმით. იერუსალიმის ტაძარს თხუთმეტი მაღალი საფეხური ჰქონდა, რომლებზეც ტაძარში შესვლის წინ ფსალმუნებს, ანუ საგალობელ ლოცვებს კითხულობდნენ. გოგონამ მსუბუქად და სწრაფად აირბინა უზარმაზარი საფეხურები. ასეთ პატარას არ გასჭირვებია მშობლებთან დაშორება. მას მღვდელმთავარი გამოეგება და სულიწმინდის შთაგონებით დიდი პატივით შეიყვანა წმინდათა წმინდაში - ტაძრის იმ ნაწილში, სადაც არავის არ ჰქონდა შესვლის უფლება. მხოლოდ მღვდელმთავარი შებრძანდებოდა ხოლმე იქ, და ისიც წელიწადში ერთხელ. და აი, ასეთ ადგილას აღმოჩნდა პატარა გოგონა - მარიამი. ეს იყო ნიშანი იმ დიდი მოვლენებისა, რაც შემდეგ უნდა მომხდარიყო. წმიდათაწმიდა აღნიშნავდა სასუფეველს, ე.ი. ადგილს, სადაც სუფევს, ანუ მყოფობს, არის უფალი. წმიდათა წმიდაში რომ არავინ შედიოდა, იმას ნიშნავდა, რომ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანებმა დაკარგეს ღმერთთან მისასვლელი გზა. მღვდელმთავარი განასახიერებდა ქრისტეს, რომელმაც ადამიანებს გაგვიხსნა სასუფევლის გზა. სასუფეველი არის იესო ქრისტესთან, ღმერთთან ერთად ცხოვრება, ეს არის მარადიული სიხარული, მარადიული სიყვარული, რომელსაც ვეღარ შეეხება ვერც ავადმყოფობა, ვერც მტრობა, ვერც სიძულვილი და ვერც სიკვდილი... და ვინ არს უპირველესად ღირსი სასუფევლისა, თუ არა დედაღვთისმშობელი.

აი, როგორ მიმართავს ეკლესია ლოცვებში ღვთისმშობელს:

„გიხაროდენ დედოფალო, სოფლისა სალხინებელო, და ქუეყანით ზეცად (ე.ი. მიწიდან ზეცამდე) ამაღლებული კიბეო...

...გიხაროდენ ხიდო წიაღ-მყუანებელო სიკუდილისაგან ცხოვრებად (ე.ი. სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ გადამყვანო ხიდო).

...გიხაროდენ ტაძარო ყოველთა მეუფისაო...“

ყოველთა მეუფე არის ღმერთი, ხოლო ტაძარი არის ის ადგილი, სადაც ვადიდებთ და ვმადლობთ ღმერთს. მარიამის მთელი ცხოვრება იყო ღმერთის დიდება და მადლიერება, ამიტომაც უწოდებენ მას ტაძარს. ამ აზრით ტაძარი შეიძლება ეწოდოს ყველა ადამიანს, ვინც ღვთისადმი რწმენითა და სიყვარულით ცხოვრობს.

ღვთისმშობელი არის არა მხოლოდ იესო ქრისტეს დედა, არამედ ზეციური დედა ყველა ქრისტიანისა, მათ შორის თქვენიც, ვინც ამ წერილს კითხულობთ. ამიტომ ის გამუდმებით ზრუნავს ჩვენზე, გვიფარავს, ლოცულობს ჩვენთვის.

დედაღვთისმშობელო, მოგვეცი ძალა რწმენისა, მადლიერებისა და სიყვარულისა! ამინ!

ბოლნისისა და დმანისის
მთავარეპისკოპოსი თადეოზი

ლაზარე - საქართველო

ღმერთო, მოგვმადლე ქართველთა
ერთი პირი და გაგება,
მხოლოდ ამგვარად იქმნების
სიცოცხლის ტაძრის აგება.
ხილული თუ უხილავი
მტერი სულ გვბრძოდა ამ კუთხით,...
ღმერთო, დაიცევ ლაზარე,
შენგან მეგობრად ნაკურთხი.

მხატვარი **ნინო გველესიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

მოუსვენარი

რძიან ქვაბში ჩაჭყო ცხვირი
ჩვენმა კნუტმა, მუნახომ,
მიტეიჭეს და განზე გახტა,
წკნავის, ნეტა თუ ნახობს?!
ზის, უბზიკავს შავი ბეწვი...
თუცა დიდი გაზრდილა,
არა მგონი, მსუნაგობა
მოიშალოს ადვილად.

მაიკო

მინდვრად გასულა მაიკო,
იები შეუკონია;
ფუტკარი დასდევს კვალდაკვალ,
ისიც უვავილი ჰგონია.
სწავლას მორჩა და სეირნობს,
უყვარს წყაროს წელის დალევა,
უხდება ჭრელი ბაბთები
კოხტას და მაყვლისთვალებას.
ვარსკვლავს ჰგავს, მშვენიერია
ჭკუა-გონებით, თვისებით;
იზარდოს, ღმერთო, უმრავლე
მამულს უვავილი მისებრი.

საზღაური

დედამ ზურას ჩასჩურჩულა,
უცებ დაიყაბულა –
დამჯდარიყო, დაეწერა
გამრავლების ტაბულა.
ორჯერ სამი, სამჯერ ხუთი,
ხუთჯერ ექვსი... ზუთხავდა,
ზეპირობდა, საწყალს ლამის
ენა გადაუტეხავდა.
ასის ფარგლებს დაეუფლა,
ტოლ სწორებზე წინ არი,
სულერთია, რა ციფრს
ჰკითხავ,
გიპასუხებს მძინარიც.
ორ საათს რომ ბუტბუტებდა,
ახლა ზის, განაბულა,
ნაყინს ელის, დაისწავლა
გამრავლების ტაბულა.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

მერი ბოლქვაძე

მთელ ზამთარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციყვი ციკო ტყეში, კაკლის ხის ფულურო სახლში იჯდა და კაკალს აკნატუნებდა. უეცრად შემოდგომის ქარმა დაჰბერა. ციკო ისეთი სიჩქარით გახტა გარეთ, იქვე ხის ტოტზე მჯდარი ბელურა ჩიტი - ნათი შიშისაგან აახტუნ-დაახტუნა:

- რა დაგეცა? - დასჭყივლა გაბრაზებით ნათიმ, - გული გამიხეთქა.

- კაკლები, კაკლები!.. - ციკომ ძირს ჩაიხედა, ნათიმაც თვალი ჩააყოლა, - რა კაკლებიო, - და დაინახა: თაგუნა წკუპი ქარისაგან ჩამოყრილ კაკლებს თავის სოროსაკენ მიაგორებდა; ციკოს ბევრი აღარ უფიქრია, თავისი ბუერასავით აფუმფულებული კუდის ფრიალით ძირს ჩაქანდა და წკუპის წინ გადაუდგა:

- სად მიგაქვს?

- სად წავიღებ, არ იცი?! სოროში, რა, სულ შენია? - გაოცდა წკუპი.

- ჩემია.

წკუპი აბუზღუნდა:

- ზევით, ხეზე რაც მოკრიფე და სახლი გამოტენე, ის არ გეყოფა? მე ძირნაყარიც აღარ მეკუთვნის?

- არა, - ციკომ თავისი კოკობზიკა კუდი კიდევ უფრო აიფუა და კაკლის წასართმევად ეცა წკუპის.

- გოჭი ხარ ციკო, ციყვი კი არა, - ჩამოსძახა ხიდან ციკოს ნათიმ, - ახლავე დაანებე თავი წკუპის!

ციკომ სასტიკი უარი სტკიცა:

- არ დავანებებ!

- დაანებე! - გაუმეორა ნათიმ.

- დაანებე!.. - მოვარდა ქარიც და ისევ გავარდა.

- შენ გირჩევნია, გაჩერდე, შე დამთხვეულო, კაკლებს ძირს ნუ ყრი, - მიაყვირა ციკომ, მაგრამ ქარს უკვე აღარაფერი ესმოდა, ისეთი ბუბუნითა და სისინით დარბოდა ხეებსა და ხეებს შორის, ისე არყევდა და ახეთქებდა ტოტებს ერთმანეთს; ან, რომ გაეგონა კიდეც, ციკოს ბრძანებაზე ივლიდა თუ რა?!

ციკო ის იყო, ისევ წკუპის უნდა სცემოდა, რომ უეცრად შვინდის და კვრინჩხის ბუჩქები გადაიპო და... იქიდან გადმობაჯბაჯდა, გადმობურდღუნდა ტოტების ლაწალუწითა და მტვრევით, დიიდი, დიდი მურა დათვი თათო; შიშისაგან დაფეთებული ციკო წამში კაკლის ხეზე ნათის გვერდით აღმოჩნდა, საწყალი თაგუნა წკუპი - თავის სოროში; დათუნია თათო კი მაშინვე კაკლებს დაერია! - ოჰ, ოჰ, რამდენი კაკლებია, რა კაკლებია, რა გემრიელიო, - აკნატუნა და ახრამუნა; კარგად რომ გაიბერა და გაიტენა ჭამით, მიტრიალდა და ახლა ტყის სხვა მხარეს წაბაჯბაჯდა...

წავიდა თუ არა თათო, ნათიმ ციკოს დაუთათხანა:

- თუ კარგი ბიჭი ხარ, რატომ თათოს არ ეჩხუბე, კაკლებს რომ მიირთმევდა, ამ ერთ ციცქნა თაგვს რომ ერჩი ყოჩივით, ჰა?

- ერთი ძირს არ ჩამომეყარა, ხომ ზევით აბობღდებოდა და შენს ფულურო სახლს კაკლებისაგან და კიდევ რაღაც-რაღაცეებისაგან პირწმინდად გამოგისუფთავებდა?! - დაუბუბუნა ქარმაც; დაუბერა და დაუბერა, და წამოვიდნენ სეტყვასავით ჩხრიალ-ჩხრიალით, ტყაპა-ტყუპით, რაკა-რუკით: კაკლები, თხილები, წიფელი, წაბლები... ზოგი ლენჯოიანი, ზოგი უკვე გაბრონილი... იმდენი, იმდენი, ტყეში ყველა სულიერს, ყველას, ვინც ზევით - ხეებზე და ქვევით - ხეებქვეშ ცხოვრობდა, ყველას ეყოფოდა მთელ ზამთარს და უფრო მეტხანსაც.

ილუსტრ. ნანა სანაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდა სტვილია

ჰეიდა შაშვო! დივლი-დივლი...

ზურა ბიჭის გასაგონად
აჭიკჭიკდა შაშვი დილით...
გაიღვიძა ზურა ბიჭმაც -
- ჰეიდა შაშვო! დივლი-დივლი!..
თუ არ იფრენ, ვინ რას მოგცემს,
ვინ რას მომცემს, თუ არ ვივლი!!
შენ იფრინე! იჭახჭახე!..
დივლი-დივლი, არც მე ვტირი.
უკეთესად ვიმღერებდი
ბავშვობა რომ მქონდეს ტკბილი,
რომ არ მქონდეს ოსეთი და...
აფხაზეთი მოკვეთილი!!

ნანა ირემაშვილი

ლტოლვილები

ზოგს აქვს სახლი, სრა-სასახლე,
კორპუსები და ვილები,
ჩვენ კი დავრჩით ღია ცის ქვეშ
ქალაქელი ლტოლვილები.
შეგვიფარეს ბებო-პაპამ,
ეჰ, მოისხეს ჩვენი მადლი,
მათ ამაგს ხომ ვერ გაზომავს
ვერც სასწორი და ვერც ადლი.
ჩიტმაც იცის თავის ბუდე,
გრძნობა არის საოცარი,
ღმერთმა ჭერი ჩვენც გვაღირსოს!
ჩემო ნინო, ჩემო მარი.

მზია ჩხეტიანი

ბატი-ბუტი

ჩაიარა „ბატი-ბუტმა“...
პაპამ: ფული არა მაქვსო...
მარიკუნა გაიბუტა,
გაებუტა პაპას მაკოც!
დარჩა პაპა ნირწამხდარი,
მოიწმინდა სიმწრის ოფლი,
რა ქნას, როცა ათი ლარი
პურის ფულად
ძლივს-ძლივს ჰყოფნის.
კართან კნავის კატის კნუტი,
ზემოთ გარბის ვიღაც ბავშვი,
- ბატი-ბუტი! ბატი-ბუტი!
ისმის უკვე ქუჩის თავში.

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ანანო და ყლუპყლუპა

მანანა გელაშვილი

ილუსტრაცია დარეჯან ჭილაშვილი

ავად არის პატარა ანანო, სიცხე აქვს, ყელი სტკივა. ექიმმა კი დაამშვიდა დედა, საშიში არაფერია, ყელი აქვს ოდნავ შეწითლებული, თბილი რძე დაალევინეთ, აი, ეს წამალიც მიეცით და ორ დღეში ფეხზე წამოხტებაო, მაგრამ ანანო ჭირვეულობს, არც წამლის დალევა უნდა, არც თბილი თაფლიანი რძისა. ეფერება დედა, ეხვეწება, კარგი, თუ გინდა წამალს ნუ დალევ, მაგრამ ცოტა რძე მაინც მოსვიო. მაგრამ აბა-ბა-ბა, გაგონებაც არ უნდა ანანოს. იღრიჯება და პირთან მიტანილ ფინჯანს ზიზღით იცილებს. შეწუხდა დედა, აღარ იცის, რა ქნას.

- იქნებ ბულიონი გესიამოვნოს, შვილო, წიწილა ვიყიდე ბაზარში, ახლავე გაგიკეთებო, - უთხრა ბოლოს და სამზარეულოში გავიდა.

წევს ანანო და უაზროდ მისჩერებია ჭერს. ანაზდად უცნაური ხმა მოესმა:

- ანანო-ბანანო...

გაკვირვებულმა გოგონამ ლოგინიდან წამოიწია, ოთახში მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ხმა განმეორდა.

ისევ მოათვლიერა ანანომ მთელი ოთახი, საწოლის ქვეშაც კი შეიხედა, მაგრამ ვერც ახლა აღმოაჩინა ვერავინ.

- სად მეძებ? აგერ ვარ შენ ცხვირწინ, რძის ფინჯანზე...

ანანო ფინჯანს დააცქერდა და მის პირზე ჩამომჯდარი ციცქნა კაცუნა შენიშნა. ფაფუკი ცისფერი თმა-წვერი და დაბერილი ლოყები ჰქონდა. პაწაწკინტელა ფეხები ჩამოეკიდა და მხიარულად იქნევდა.

- ვინა ხარ? - გაუკვირდა ანანოს.

- ვინა ვარ და ყლუპყლუპა!

- ყლუპყლუპა?.. მერე აქ საიდან გაჩნდი?

- ექიმს შემოვყევი ჩუმად... გავიგე, რომ ავად იყავი და შენს მოსარჩენად მოვედი.

ანანომ ხელი გაიშვირა და ყლუპყლუპა ხელისგულზე დაასკუპდა.

- როგორ უნდა მომარჩინო?

- როგორ და თბილ რძესთან ერთად ყელში ჩაგიძვრები. ერთი-ორს შეგიღიტინებ და მორჩები.

- მართლა? - გაეცინა გოგონას.

- მართლა, აბა რა, თუ არ გჯერა, ვცადოთ!

- აუჰ, რძე რომ მეჯავრება... საძაგელი გემო აქვს...

- მე რომ ჩავყვები თან, იცი, როგორ გაგემრიელდება?!

- კარგი, ყლუპყლუპა, ოღონდ მერე არ გამეპარო, ჩემთან დარჩი, კარგი?

- აბა რას ვიზამ...

- მერე... მერე რომ დაგლიო და ჩაგყლაპო და ვეღარ ამოხვიდე?

- ხომ გითხარი„ ერთი-ორჯერ შეგიღიტინებ და

უკანვე ამოვხტები. ახლა კი რძეში უნდა ჩავხტე, თორემ გაცივდება და გავიყინები.

ყლუპყლუპამ რძეში ისკუპა და გაუჩინარდა.

- ვაიმე, არ დაიხრჩო! - შეეშინდა ანანოს.

- ნუ გეშინია... - ამოიყურყუმელავა ყლუპყლუპამ. ფაფუკი თმა-წვერი დასველებოდა და ისეთი გასაცოდავებული ჩანდა, ანანოს მისი მოფერება მოუნდა.

- ეგ მერე... ჰა, ჰა, მიდი, გადაჰკარი, რაღას უცდი!?

ანანომ რძე მოსვა, ნელ-ნელა სვამდა და თან წამდაუწუმ ფინჯანში იხედებოდა. მართლა ძალიან ეგემრიელა. მერე ღიტინიც იგრძნო ყელში და გაეცინა. ყლუპყლუპაამ, - გაიფიქრა, ბოლომდე გამოსცალა ფინჯანი და ყლუპყლუპას გამოჩენას დაელოდა. იმასაც არ დაუყოვნებია - აქა ვარო! - მხიარულად შესძახა და ლამბაქზე ამოხტა. - ჩქარა, ჩქარა, სასწრაფოდ გამამშრალე, თორემ შემცივდა!

ანანომ სასწრაფოდ გაამშრალა ხელსაწმენდით, მერე ლოგინშიც ჩაიწვინა. გამთბარ ყლუპყლუპას მალე ჩაეძინა. ანანოსაც მოერია ძილი. ცოტა ხანში კი ორივემ ერთდროულად გამოიღვიძა.

- აბა, როგორა გაქვს ყელი, კიდევ ტკივა თუ მოგირჩა? - ჰკითხა მხიარულად ყლუპყლუპამ და ერთი გემრიელად გაიზმორა.

- იცი, ყლუპყლუპ, შენ, მგონი, მართლა მომარჩინე, მადლობთ!

- შენ კიდევ არ გჯეროდა ჩემი... ანანო-ბანანო... ახლა კი უნდა დაგემშვიდობო...

- აუჰ, კარგი რა... აბა, რომ მითხარი, შენთან დავრჩებიო?! - ცრემლი მოერია გოგონას.

- კი გითხარი, მაგრამ შენ უკვე გამოკეთდი, მეხუთე სართულზე კი გიგი არის ავად, იმასაც უნდა მივეხმარო... შენ ხომ გინდა, გიგიც მორჩეს?

- მინდა, მინდა, მაგრამ... მეც რომ კიდევ მინდა რძე? - იეშმაკა ანანომ. - დედა, დედიკო! - გასძახა დედას.

დედა გულგახეთქილი შემოვარდა, - რა იყოო.

- დედიკო, რძე სულ დავლიე და კიდევ მინდა, მაგრამ, იცოდე, უფრო დიდი ფინჯანით მომიტანე!

დედა ვერაფერს მიხვდა, მაგრამ რას დაეძებდა, ოღონდ კი ბავშვს რძე დაელია, და სამზარეულოში გაბრუნდა, ახლავე გაგითბობო.

ყლუპყლუპა სიცილს ვერ იკავებდა.

- კარგი, კარგი, ამ ერთ ფინჯანსაც დაგალევინებ და მერე წავალ გიგისთან.

- ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ საღამოთი მე ბულიონიც უნდა ვჭამო და სხვათა შორის ბულიონიც ძალიან მეჯავრება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი თარგამაძე

ვითომ შენ ხარ...?

მოხდენილი გრძელი რქები
ულამაზებს თავს
და თვალებიც ლამაზი და
მშვენიერი აქვს.
სულ „მე, მეო“ კიკინებს და
აცანცარებს წვერს,
მაგრამ წვეთს არ დაიტოვებს,
სულ ჩვენ გვაძლევს რძეს.
თუ გინახავს, თუ გსმენია,
როგორი აქვს ხმა,
აბა, სცადე, -
გააჯავრე,
ვითომ შენა ხარ...!

ნინო ბეზარაშვილი

მინდორში

ეს რამდენი ყვავილია
ციისფერი ხალებით,
ფერდობებზე გამოსულან
თეთრი ფერიცვალები.
ისე დგანან განაბულნი,
თითქოს მზეზე თბებიან,
ნიავი თუ დაუბერავს,
წამსვე აცეკვდებიან.
ულეწელა, ფასმანდუკი*,
ყვეელანი აქ არიან,
ეს რამდენი ყვავილია,
მისარია ძალიან!

* ულეწელა, ფასმანდუკი მინდვრის ყვავილებია

ფ.ვ. მხატვარი თეა მიქაია

სპაიკ მილიგანი

წიკ-მიკის რეცეპტები ეინჯეინილ ავადმყოფთათვის

მაშ, ეური მიგდეთ, გთავაზობთ რეცეპტს,
რომელიც კურნავს ჯკვიანს და რეგვენს,
ღარიბს და მდიდარს, მტეუანს და მართალს,
გამხდარს და მსუქანს, მაღალს და დაბალს.
ტრილიონერებს, მილიონერებს,
უმუშევრებს და წილიონერებს:
თუ მოიწეინეთ, აიღეთ გოგრა,
არ დაგავიწუდეთ ნაღების მოხდა.
მოხდილი გოგრა გაჭერით ორად,
ნახევრად მრუდედ, ნახევრად სწორად.
გარშემო ფრთხილად წაუსვით წებო,
ცოტა წიწაკა და ბლომად ერბო.
დაიდებთ თავზე, გაუძლებთ რამდენს,
ხალისს შეგმატებთ, უხდება გლანდებს.
როცა მიხვდებით - ტანში გახურებთ,
ნუ შემოიწეობთ თავზე აგურებს.



სჯობს აბაზანა აავსოთ ბორშჩით,
შიგ ჩაწექით და უმალვე მორჩით.
არ ჩაწვეთ ოღონდ ბორშჩში მარტონი,
თავზე მოისხით კოვზით მაწონი.
სამნახევარჯერ წარმოთქვით რიხით,
„ჩქარა მომართვით შემწვარი იხვი!“
გთხოვთ სახაზავით იზომოთ სიცხე
და თერმომეტრის არ ენდოთ რიცხვებს.
ის ორმოცს ზევით აღარ აჩვენებს,
ბორშჩში კი ოთხმოცს ზევით აწვენენ.
თუკი გაწუხებთ მუცლის ტკივილი,
ხშირად გაღვიძებთ ჯიის ჩივილი,
ჩაუავით ნეკა თითები რძეში
და ამოევლეთ ათქვეფილ კვერცხში.
მერე დასხედით შემთბარ ტაფაზე,
ტაფა შემოდგით ფანჯრის რაფაზე,
ჯიებს დასცხებათ, გამოვლენ გარეთ,
და ინანებენ თქვენს ტანჯვას მწარედ:
ნახავენ, არის ცხოვრება რთული
და გაუსკდებათ უმალვე გული.

როცა ასრულებთ მინორულ გამებს,
თუ გეძინებათ და ნაბავთ თვალებს,
მოხარშეთ ერთი ტახტის მუთაქა,
მერე მოასხით ლეღვის მურაბა,
ჩაუავით შიგნით მარცხენა ხელი
მარჯვენა ეურზე გაისვით ხემი.
აიღეთ ახლა ნაღეჭი კევი
და შეიხვიეთ სამრიგად ეული.
გამოფხიზლდებით, მენდეთ, მაშინვე,
მოთენთილობა ვერ შეგაშინებთ.
სხვაც ბევრი ვიცი კარგი რეცეპტი,
საგულდაგულოდ თქვენთვის ვეძებდი,
მაგრამ ჯობია, იეოთ ჯანმრთელი,
წამლით არ გქონდეთ საუსე ჩანთები.
ულაპავდეთ მარტო ლექსების აბებს
ზედ აეოლებდეთ საოცარ ამბებს,
ზღაპრებს, მოთხრობებს, ანდაზის დრაჟეს,
არ იკარებდეთ ტირილს და ბრაზებს!

მხატვარი ნანა სანაია

გადმოაქართულა მარიამ წიკლაურმა-ძიძიგურმა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოლოდინა



ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველია საბა პაპას ვენახში.

ვაზის რიგს იქით პაპა კრეფს ყურძენს, აქეთ – მისი სეხნია პატარა საბა.

– მოდი, ჯერ მე მომწყვიტე, იცი, რა ტკბილი ვარ! – ეპატიჟება ყურძნის ღუდღუდა მტევანი ბიჭს.

– არა, მე მომწყვიტე, თავლავით ჩაგადნები პირში! – ამბობს საბას ცხვირწინ ლერწზე ჩამოკონწიალებული მტევანი.

– ჩქარა, ხალხო, თორემ მთლად გამომსუტავენ ფუტკრები და კრაზანები! – ჩივის სხვა.

საბაც კრეფს ყურძენს. გააქვს მაკრატელს წკაპუნი. მტევნები ტყაპა-ტყუპით ცვივა ხახადაღებულ კალათაში.

ბიჭი სავსე კალათით ვენახის ბოლოში მარდად მიდის, იქ მამა დგას მანქანის ძარაზე და ვაზის რიგებიდან გამოტანილ, მოკრეფილ ყურძენს შიგ ყრის.

საბა მამას კალათას აწვდის.

– ჰოპლაა! – იძახის მამა და კალათას ძარაში აპირქვავებს.

საბა ისევ ვაზის რიგებში უჩინარდება.

იმ მწიფე მტევნებს შორის, ვაზის ფოთლებში მიმალული, მთლად მწვანემარცვლებიანი, მკვახე მტევანიც შეხვდა.

– რატომ არ დამწიფებულა? – ჰკითხა ბიჭმა პაპას და მკვახე მტევანი უჩვენა.

– ეგ ყურძენი მოლოდინაა, შვილო! – თქვა პაპამ.

– მოლოდინა! მერე, ვის ელოდება, პაპა? – გაიცინა საბამ.

– ეგრე ეძახიან. მაგის კვირტმა ზარმაცი კაცივით გვიან გაიღვიძა და გვიან დაიყვავილა. ნაყოფმა ვერ მოასწრო დამწიფება!

– არ დამწიფდება?

– როგორ არა, რთველები რომ დამთავრდება, გავა დღეები, დაუბერავს ცივი, სისინა ქარები და მოლოდინას მარცვალი დატკბება. ჩიტებმა თუ დაგვაცადეს და არ გამოკენკეს, გემოთი გაგაშინჯებ!

საბას კიდევ შეხვდა ფოთლებში შეყუჟული მოლოდინა. მკვახე, მწვანემარცვალა მტევანი ხან რომელი ლერწიდან იჭყიტებოდა, ხან რომლიდან.

თაღლითი – იუველირი

ა. დიუმას ერთ-ერთ ნაწარმოებში ნახსენებია იუველირი (ოქრომჭედელი), რომელმაც არაერთ ცნობილ ქალბატონს მოჰპარა საუკეთესო ბრილიანტები. თაღლითი სამკაულებზე ისე უცვლიდა ადგილებს ბრილიანტებს, რომ დანაკლისის აღმოჩენა საკმაოდ ძნელი იყო.

შეხედეთ ნახატზე ნაჩვენებ ძველისძველ ყელსაბამს, რომელზეც 25 ბრილიანტია მიმაგრებული.

ყელსაბამის პატრონი მიჩვეული იყო ბრილიანტების დათვლას ზემოდან ქვემოთ შუა წერტილამდე, შემდეგ კი მარცხნივ, მარჯვნივ და ქვემოთ. სამივე შემთხვევაში



ცამეტი ბრილიანტი გამოსდიოდა. ერთხელაც ეს ყელსაბამი შესაკეთებლად ზემოთხსენებულ იუველირს მიაბარა. ქალბატონის ენაჭარტალობის გამო იუველირმა შეიტყო, როგორ ითვლიდა ის ბრილიანტებს, და როცა ყელსაბამს პატრონს უბრუნებდა, ამავე ხერხით გადაუთვალა თვლები. წლები ისე გავიდა, რომ ქალი ვერ მიხვდა, ყელსაბამს ორი ბრილიანტი თუ აკლდა, რომლებიც იუველირმა მოიპარა. ის ისევ ძველებურად, თავისებურად ითვლიდა ქვებს და ყოველთვის 13-13 გამოსდიოდა.

როგორ განალაგა იუველირმა ბრილიანტები, რომ თავისი დანაშაული დაეშალა?

ტ.ვ.

დარეჯან ვარდოსანიძე-წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუნწი და ექიმი

იყო ერთი გულისხმიერი და ძალიან კეთილი ბრძენი ექიმი. მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას, და საერთოდ, რაც გააჩნდა, ავადმყოფთა განკურნებას ახმარდა.

ერთ საღამოს ექიმი იჯდა თავისი სახლის აივანზე და ფიქრებში იყო წასული, უცებ კარზე კაკუნი გაისმა და ერთი ნაცნობი მოუპატიჟებლად შემოვიდა. იგი უამრავი ქონების პატრონი იყო, მაგრამ მაინც დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, რა ვიღონო, რომ კიდევ უფრო გავმდიდრდე, მეტი მოვიხვეჭოო. ისეთი წუწკი გახდა, რომ თვითონაც შიმშილობდა და ცოლ-შვილსაც მშიერს ჰკლავდა. როდესაც შიმშილობისგან დაუძლურდა, შეშინებულმა ექიმს მიმართა.

ექიმმა გულმოდგინედ გასინჯა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თანაც გაგონილი ჰქონდა ამ კაცის სიძუნწის ამბავი და ვითომ შეწუხებულმა უთხრა:

- ძმაო, შენ ძალიან მძიმე სენი შეგყრია. თუ არ იმკურნალებ, ერთ თვეში მოკვდებიო.

ძუნწს შიშის ოფლმა დაასხა და ექიმს შეევედრა:

- მიშველე რამე, ოღონდ მომარჩინე და ჩემი ქონების ნახევარს მოგცემო.

- კარგიო, - უთხრა ექიმმა, მისცა რაღაც შეფერილი წყალი და ასე დაარიგა:

- დღეში ოთხჯერ ჭამე, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ეს წამალი მიიღე, ორ კვირაში ისევ მოდი ჩემთან და ახალ წამალს მოგცემო. - თანაც დაუმატა - ჭამის დროს ერთი ბოთლი შავი ღვინოც დააყოლეო.

წავიდა გამწარებული ძუნწი და ფიქრობდა, ეს რა დამემართა, ახია ჩემზე, არ ვჭამდი, არ ვსვამდი, კაპიკს კაპიკზე ვადებდი, ცოლ-შვილს შიმშილით ვკლავდი, ასე მომიხდებაო.

ორი კვირის შემდეგ ძუნწი ექიმთან გამოცხადდა.

- რაო, ძმობილო, წამალი მოგიხდა? - ჰკითხა ექიმმა.

- დიახ, ბატონო ექიმო, ისეთი ძალა მომცა თქვენმა წამალმა, რომ მზადა ვარ ცხრათავიან ლევს დავეჭიდოო.

- ძალიან კარგი! - უთხრა ექიმმა და ახლა რაღაც სხვაფრად შეფერილი წამალი მისცა, თანაც დაპირებული გასამრჯელოს ნახევარიც წინასწარ გამოართვა. ძუნწს კინაღამ გული გაუსკდა, როცა ექიმმა მთელი ის ფული მარტოხელა ავადმყოფებს მოახმარა.

ორი კვირის შემდეგ კიდევ დაიბარა ექიმმა. იმდენივე ფული გამოართვა და უთხრა:

- ახლა კი გეყოფა წამლობა, ოღონდ ერთს გეტყვი, თუ დაარღვიე ჭამის რეჟიმი, არაფერი გიშველისო..

ექიმის წყალობით ეშველა ძუნწი კაცის ოჯახსაც და მარტოხელა ავადმყოფებსაც.

მხატვარი ლაშა სულაკაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

ერთად დავითვალოთ ათამდე



- ერთი და ერთი.
- გულკეთილს ყოველთვის გწყალობდეს ღმერთი!
- ორი და ორი.
- ვერასდროს გტაცებდეს წიწილას ქორი.
- სამი და სამი.
- შენს გულში მზე ენთოს დღისით და ღამით.
- ოთხი და ოთხი.
- გაშოროს ჩხუბი და გაშოროს შფოთი.
- ხუთი და ხუთი.
- ყოველთვის გეხუროს ნამუსის ქუდი.
- ექვსი და ექვსი.
- არასდროს გაგიხმეს სიცოცხლის ფესვი.
- შვიდი და შვიდი.
- შრომით გაამდიდრე დღეები მშვიდი.
- რვა და რვა.
- შენ შემოგხაროდეს ზეცა და მიწა, ხმელეთი, ზღვა.
- ცხრა და ცხრა.
- მგელი თუ მოგიხტეს, არ დახვდე ცხვრად.
- ათი და ათი.
- ყველა გზას გიმზევებდეს ფიქრები მნათი.

მამის კვალზე

დურგალი მყავს მამიკო, დურგლობა მეც მასწავლა,
სახელოსნოც გამიყო, მიზიარა მასალაც.
მომცა ცალკე ფარგალი, ხელეჩო და ხერხიცა,
დაზგაც ცალკე დამიდგა, ვაჩუქურთმებ ჩემს ფიცარს.
ხარობს მამა მის გვერდით ჩემი მარჯვე ტრიალით.
ყველას ატკბობს დღეს ჩემი შალაშინის შრიალი.

პატარა მხატვრის იმედი

ვეფხვის წელიწადიაო და ვეფხვს ხატავს ზურა,
კახა იქვე ჩაცუცქულა, უთვალთვალებს სურათს.
მერე უფროს ძმასა ჰბაძავს, ისიც ვეფხვსა ხატავს,
ნახატი კი ვეფხვის ნაცვლად ემსგავსება კატას.
გულს არ იტეხს, ისევ ხატავს, იმედს არა ჰკარგავს:
- ვეფხვი როცა ჰატარაა, განა კატას არ ჰგავს!
როცა დიდი გავიზრდები, ავისრულებ წადილს.
მაშინ მნახეთ, ვეფხვს დავხატავ, ვეფხვს დავხატავ ნამდვილს.

მხატვარი ზაურ დეისაძე

დედა ენა

იავნანა

ნათელა ჭახნაკია

ჩვენს პირველ წერილში საუბარი გვქონდა სიტყვა „დედა ენაზე“. ახლა ვილაპარაკებთ კიდევ ერთ უმშვენიერეს ქართულ სიტყვაზე „იავნანა“.

ყველამ კარგად იცით, რომ „იავნანა“ ძილისპირული სიმღერაა, რომელსაც დედა უმღერის პატარებს - ნაზად, ალერსიანად: „იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო“. „იავნანა“ დედის ლოცვაა, დედის სიყვარულია და სურვილი, რომ მისი შვილი იყოს იასავით ნაზი, ვარდივით პირმშვენიერი, წმინდა და უბიწო, ყოველგვარი სიკეთით სავსე.

დააკვირდით სიტყვებს: „იავნანა“, „ვარდონანა“... ისინი შედგებიან ორ-ორი სიტყვისაგან: **ია** და **ნანა**, **ვარდო** და **ნანა**. უნდა იცოდეთ, რომ უძველეს დროს ნანა იყო მზისა და სინათლის ქალღმერთი... სწორედ მისი სახელი დაუკავშირა ხალხმა მზესავით ნათელ და წმინდა სახელს „დედა“. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც ისმის ამ კავშირის გამოძახილი - სამეგრელოში დედას ნანას ეძახიან, გურიაში - ნენას, აჭარაში - ნენეს; ე.ი. ქართველი დედა ქალღმერთ ნანას ხატებაა. ქალღმერთს თავის დროზე საგალობლები მიუძღვნეს, შემდეგ კი ეს საგალობლები უმშვენიერეს ყვავილთა - იისა და ვარდის ფერადოვნებით გასხივოსნდა და სააკვნო სიმღერად იქცა, რომლის სითბოთი, სიყვარულიანობითა და სინაზით დედა სიმშვიდესა და ტკბილ ძილს ჰგვრის ჩვილს, უხმობს ჯანსაღ და ფერად სიზმრებს... საინტერესოა ისიც, რომ სინაზისა და სიფაქიზის განსახიერება - ყვავილი ია, ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა მრავალი ავადმყოფობის სამკურნალოდ. მისი სურნელოვანი ყვავილისა და ფოთლების ნაყენი ტკივილებს უამებდა და სიმშვიდეს ჰგვრიდა ავადმყოფებს.

ყვავილთა შორის სიტურფითა და სურნელებით გამორჩეულ ვარდსაც დამაწყნარებელი, დამაშოშმინებელი თვისება აქვს. დააკვირდით, გაშლილ ვარდს ყველა ფურცელი ფენა-ფენად აქვს გაწყობილი, გაუშლელში - ვარდის კოკორში ეს ფურცლები ერთად არის შეკრული. მზე და სითბო აძლევს მას ძალას, გაიზარდოს და გაიფურჩქნოს. ვარდის ფურცლები მზის მხურვალებით ერთმანეთს თანდათან შორდებიან და ცალ-ცალკე გადაიშლებიან ხოლმე. გაშლილი ვარდი კი ჰაერში გამოყოფს ელექტრომაგნიტური გავრცელების ძალის მქონე სურნელოვან მქროლავ ნივთიერებებს. ეს სურნელება მაგნიტური ძალით, ანდამატივით მოქმედებს და სიყვარულის, სინაზისა და სიმშვიდის პასუხად ისეთივე ძლიერი სიყვარული, სინაზე და სიმშვიდე მოაქვს ადამიანისათვის.

აი ასე, - დედის, და ამ ყვავილების - იისა და ვარდის სახელწოდებათა შერწყმით შეიქმნა სიტყვაც და სიმღერაც - „იავნანა“, რომელთა სიტკბოება მუდამ თან გვდევს და დედის სიყვარულივით უწმინდესია ჩვენთვის.

ბავშვებო, თქვენ ალბათ იცით ქართული ანდაზები:

- დედის დაღვრილ ცრემლზე ია ამოდისო.
- კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

თქვენ როგორ ახსნიდით ამ ანდაზების შინაარსს!? იქნებ პანაწინა მოთხრობა ან ჩანახატიც შეგექმნათ ამ ანდაზების თემებზე.

მოგვწერეთ პასუხები. საუკეთესოს გამოვაქვეყნებთ ჟურნალის მომდევნო ნომერში.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ზურაბ კუხიანიძე

შხაპუნა წვიმა

წამოვიდა შხაპუნა
წვიმა, ცოცქნა შხეფებით
და ფოთლების სახურავს
შეეფარნენ ბებლები.
ზეცა გახდა რუხი,
გაუხარდათ ეანებს,
წიწილები კრუხის
ფრთებქვეშ შეიმალნენ.
დრო დაუდგათ ლხენის
იხვებსა და ბატებს,
ეკავი მოწყენილი
მთისკენ მიფარფატებს.
ხველ ფოთლების ტაში
ცის კალთამდე ადის,
ჩვენს გაწუწულ ბაღში
გაიფურჩქნა ვარდი.
ქედებს შავი ღრუბლების
დაუხურავს ფაფახი,
შხეფებდანასხურები
გაიშალა ზამბახი.
სკვინჩას წვიმა მობეზრდა,
მზიან ამინდს ელის,
ეოჩივარდამ ღობესთან
მოიღერა ყელი.
სოროებში ფხაჭუნით
ჩაიმალნენ თაგვები...
სოკოებმა ამოყვეს
მოტვლეპილი თავები.
წვიმა მოდის ულევად,
ცაში გაშლილ ფრთებით...
მთაში ნაკადულებმა
დაიბოხეს ხმები.
წითელ მარგალიტებად
ველს მოედვნენ მარწყვები...
ქვეყნად ყველას სჭირდება
წვიმის წვრილი ბაწრები.
გამობრწყინდა მერე მზე,
აიკეცა კალთები,
დაგვიტოვა ველებზე
ფეიერვერკების ბაბთები.

ცირა ქიტიაშვილი

ბარტყის წუხილი

ბუდიდან რად ამომხვი,
არ მაცვია სამოსი,
აგრემც შენ გენაცვალე,
ფრთების გაშლა მაცალე.
ჩემს მშობლებთან დამტოვე,
ვერ ვიცოცხლებ მარტო მე.
თქვი, რა ჩემი ბრალია,
რომ მიეგარან ძალიან.
დედა, მამა ხომ შენც გყავს,
დარდი მოჰკლავთ, გეთაყვა,
შენ რას გიშლი, ბიჭიკო
ქვეყნად მეც ვიჭიკჭიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ILLUSTRATION: ეკა გეგია

გუგული ტოგონიძე

იამ რა უთხრა ვარდსაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ სოფელში უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი მდიდარი, გულჩახვეული კაცი ცხოვრობდა. ცოლისა და ერთი შვილის მეტი არავინ გააჩნდა ქვეყანაზე.

ერთხელ ეს კაცი ავად გახდა. დაახვიეს მკურნალები, მაგრამ ვერაფერი უშველეს, კაცი უარესობისაკენ მიდიოდა.

ერთ დილით შვილმა იისა და ვარდის თაიგული შეუტანა და ლარნაკს დაუწყო შერჩევა. ლარნაკი ბევრი იყო: ოქროსი და თიხის, ბროლისა და ხისა, ვაუმა ოქროსი აირჩია. ყვავილები ჩააწყო და მამას წინ დაუდგა. ავადმყოფმა ყვავილებს შეხედა და გაეცინა. შვილს გაუკვირდა – მამამისი ხომ ბოლო ხანებში სულ აღარ იცინოდა.

– მამა, რაზე გაიცინეო?

– ყვავილებმა ერთმანეთს რაღაც უთხრეს და იმაზე გამეცინა, – ჩაიჩურჩულა ავადმყოფმა და სული განუტევა...

„მაინც რა უთხრა იამ ვარდს და ვარდმა იას?“– არ ასვენებდა ეს კითხვა შვილს. ვის არ ეკითხებოდა, მაგრამ პასუხს ვერავინ აძლევდა. და აი, ერთხელ ვაუს უთხრეს: ამა და ამ ადგილას ერთი გულთმისანი ცხოვრობს და ის გეტყვისო.

ბიჭი გამოეთხოვა დედას და გულთმისნისაკენ მიმავალ გზას დაადგა. იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ველს მიადგა. მოლზე შვლის ნუკრი ბალახობდა. ბიჭი ნუკრთან მივიდა:

– ნუკრო, გზას ხომ ვერ მიმასწავლი. მინდა გავიგო, იამ რა უთხრა ვარდს და ვარდმა იას?

ნუკრმა წყლიანი თვალები შეანათა და უთხრა:

– გაუვალ ტყემდე მიგყვები. იქ ირემია და ის გაგიძღვება.

– ტყის სიღრმეში რატომ არ შედიხარ, ერთი ესეც მითხარი?

– ჩემი მამა-პაპანი მეჩხერ ტყეში ცხოვრობდა და ჩემი საცხოვრისიც ეს არის.

შველმა უღრან ტყემდე მიაცილა ბიჭუნა და დაემშვიდობა. ტყეში მედიდური ხარ-ირემი ხის ფოთლებს შეექცეოდა.

– ირემო, გულთმისანთან მივდივარ და გზას ვერ მიმასწავლი?

– მომყევი! – უთხრა ირემმა.

– რომ დავბრუნდები, ჩემს სასახლეში წაგიყვან, არაფერს მოგაკლებ. უშიშრადაც იქნები. არ გინდა?

ამ დროს მათ წინ მელამ გაიცუნცულა. ირემმა შეაჩერა:

– მელა, უთხარი ამ ბიჭუნას, სად არის შენი სამოსახლო.

– სულ ერთია, ოღონდ კი სადმე საცუცნავი იყოს! – ჩაიცინა მელამ და გაეცალა.

ირემმა ამაყად შეხედა ბიჭუნას:

– ხედავ, მაგისთვის სულერთია, სად იცხოვრებს! მეც მელა ხომ არა ვარ, სულ ერთი იყოს?

ირემმა და ბიჭუნამ ტყე გაიარეს. ტყის იქით ირემი ველარ გაჰყვებოდა და დაემშვიდობა.

ბიჭუნამ იარა, იარა და მდინარის ნაპირს მიადგა. მდინარეში თევზის ქარავანი მოცურავდა. თევზები ჩაჰყვნენ და ამოჰყვნენ ნაპირს. ერთმა წითლად დაწინწკლულმა თევზმა თავი მაღლა ამოჰყო.

– ვიცი, სადაც მიდიხარ, ბიჭუნა, ზურგზე შემაჯექი და მდინარის სათავესთან მიგიყვან. იქიდან მთაში ადი, საჯიხვეებში, და ჯიხვები გასწავლიან გზას.

– მერე ჩემთან წამოდი სასახლეში, – სთხოვა ბიჭუნამ თევზს, – ოქროს აუზში შეგაცურებ.

– ოქროს აუზს ეს მდინარე მირჩევნია. იქ დავიბადე და გავიზარდე, სხვაგან მოვკვდები, – მიუგო თევზმა.

მთის ბილიკს რომ აუყვა, ბიჭუნას ჯიხვების რქების ჯახაჯუხი შემოესმა. მეტოქეები ერთმანეთს ერკინებოდნენ. ბიჭი თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მათ ჭიდილს.

– რა იქნებოდა, ჩემთან გეცხოვრათ, სასახლეში. ოქროს საჯიხვეებს აგიშენებდით! – შესძახა აღტაცებულმა.

– ჩვენს მამა-პაპას აქ უცხოვრია და, ვიცით, ეს სალი კლდეები სანდოა. ოქროზე ფეხი აგვისრიალდება და უფსკრულში გადავიჩეხებით.

– რა გაეწყობა, თქვენი ნებაა. მაშ, გულთმისნისაკენ მიმავალი გზა მიმასწავლეთ!

ჯოგს ყველაზე ძლიერი, მამაცი ჯიხვი

გამოეყო, ბიჭუნა ზურგზე შეისვა, საჯიხ-
ვიდან საჯიხვეს, კლდიდან კლდეს გადაევ-
ლო და გულთმისანთან მიიყვანა.
– ვიცი, რატომაც მოხვედი, – უთხრა
გულთმისანმა, – მიამბე რაც გზაზე ნახე
და გაიგონე...
ბიჭმა მოუყვა, ბოლოს ველარ მოითმინა
და ჰკითხა:
– მაინც რა უთხრა იამ ვარდს და ვარ-
დმა იას?
– მამაშენთან შესული ყვავილებისათვის
ლარნაკს რომ არჩევდი და ოქროს ლარ-
ნაკში ჩააწყვე გაიცინა და თქვა:
– ამ ბიჭუნას ჰგონია, ოქრო ყველასათ-
ვის ბედნიერებაა. ჩემი დედა მიწაა და
ქვეყანაზე ყველაფერს მირჩევნიაო.
– ვარდმა რაღა უთხრა იას? – იკითხა
ისევ ბიჭუნამ.
– შენ როგორ ფიქრობ, რას ეტყოდა?
– კითხვა დაუბრუნა გულთმისანმა.
– რას და... ალბათ ასე უთხრა: ეს კა-
ცი ძალიან მდიდარია და ბედნიერი მაინც
არ არისო.
– ჰო, ჩემო ბიჭუნა... კი არაფერი სტკი-
ვა, სევდა კლავსო. თავს ამდენი მოყვარე
და, ბკურნალი ახვევია, ვერავინ მიმხვდარა,
რომ საამშობლო ენატრება, იმ ადგილების
ნახვა უნდა, სადაც მის მამა-პაპას უცხოვ-
რიაო.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა კაკაჩია

სულელი ფისო

დედიკონამ მოგვიტანა
სათამაშო თაგუნა,
და მთელი დღე იმ თაგუნას
ეფერება თამუნა.
ხან დაბანა და ხან კიდევ
შეუკერა კაბები,
ხან ნანინა უმღერა და
დაუკრიფა ვარდები.
ძილის წინ კი თაგუნია
სკამზე დასვა დაიკომ.
დილით როცა გაიღვიძა,
თაგვი სკამზე არ იყო.
ძირს ეყარა ნაკუწ-ნაკუწ
თაგუნიას კაბები,
ზედ ჩვენს სულელ ფისუნიას
გადაეწყო თათები.
მას ცოცხალი ჰგონებია
დაუღრღნია თაგუნა,
ამის გამო ო, რამდენი
ცრემლი ღვარა თამუნამ.
შენ, სულელო ფისუნიავ,
რადა გითხრა აბა,
როდის იყო ნამდვილ თაგვს რო
ტანზე ეცვა კაბა!

მხატვარი
თამარ ქალდანი

საქართველ
ეროვნულ
ბიბლიო

ჯადოსნური სათვალე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ამ ჯადოსნური სათვალით ახლებურად წაიკითხავთ (დაინახავთ) ნაცარქექიას თავგადასავალს. აქ წარმოდგენილ ნახატებს ხან ერთი თვალით შეხედეთ, ხან მეორით და ისინი ამოძრავდებიან. აბა, სინჯეთ!

ტექსტი კი უსათვალოდ წაიკითხეთ.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამისათვის ნაცარქექია დაარქვეს.

ადგომა დღეს წირვაზე წასული ნაცარქექია რძალმა შინ აღარ შეუშვა. ნაცარქექიამ საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ჭყინტი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დიდ წყალს მიადგა. გაღმა ნაპირზე უშველებელი დევი დაინახა. ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა. იფიქრა, იფიქრა და, გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა. დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც, ქვა აიღო და გამოსძახა:

- აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ ყველი ამოიღო, წყალი გამოადინა და შესძახა: - აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და წყალს გამიყვანეო.

დევი გამოვიდა. ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა: - ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო

- ეს იმიტომ, რომ ცალი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და, თუ ხელი გავუშვი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაშინ ვეღარც კი დამძრავო.

- აბა, გაუშვი ხელიო, - უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო და დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცას მოჰკიდეო.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა: წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო.

ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა. დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადს ყური უგდე, არ დაიწვასო. ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, მაგრამ როგორც კი კეცს ხელი ახლო, კეცი მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია ქვეშ მოჰყვა.

- კაცო, ეგ რა გიქნიაო, - შეეკითხა დევი.

- მუცელი ამტკივდა და თბილი კეცი დავიდე, ეგება ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ახლა კარგად ვარ და აიღე კეციო, - უთხრა ნაცარქექიამ.



სუფრას რომ მიუსხდნენ, დევმა დაახველა, ნაცარქექია ჭერს მიეკრა და ჭერის კოჭს მოეჭიდა.

- კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო !

- როგორ გაბედე ჩემს წინ დახველება, ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და გვერდები აგიწვაო !

დევი ძალიან შეშინდა: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ თითო ხე და ეს წკეპლას ეძახისო ! - და შეშინებული, ძმებთან ერთად სახლიდან გავარდა. ნაცარქექია ბობღვით ჩამოძვრა და დევების ოჯახს დაეპატრონა, დევების სარჩო ჯორს აჰკიდა და შინ წაიღო.

მხატვარი **გია ლაფაური**

ლუარა გორდიევიჩი

„ამაყობს ჯილაგ თავისი სილამაზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა შექმნა ცხენი და უთხრა: „–წადი, ყველაზე ბედნიერო ქმნილებავ! შენზე სრული და ყოვლად შემკული სხვა არავინა მყავს ქვეყნად. შენ იქნები ჩემი მტრებისა და ორგულთა ჩამწიხლავი, შენი ზურგით ატარებ ჩემს ერთგულ ხალხს. ქვეყნიერების მბრძანებელი და ბატონი - ადამიანი - შენ შეგიყვარებს; იქნები მფრინავი, თუმცა ფრთები არა გაქვს; იქნები მძლეველი და გამარჯვებული, თუმცა ხმლის მოხმარება არ გეცოდინება“.

ცხენი უკეთილშობილესია ცხოველთა შორის. იგი ჭკვიანია, მოსიყვარულე და ამგები, დაუზარელი, კეთილი და ერთგული; ამავე დროს ამაყია, საზრიანი, დაუღალავი და მამაცი.

ცხენის ოცდახუთი სახეობაა გავრცელებული თითქმის მთელს დედამიწის ზურგზე, ავსტრალიის გარდა.

ყველაზე ძვირად ფასობს არაბული ჯიშის ბედაური. მას შეიძლება შეედაროს წმინდა სისხლის ინგლისური ცხენი, რომელიც არც სილამაზით, არც ღონითა და გამძლეობით მას არ ჩამოუვარდება. სიმართლე რომ ითქვას, საუკეთესო საჯდომი სწორედ ინგლისური ცხენია.

რუსეთში ორიოლის და დონის ჯიშის ცხენს თვლიან საუკეთესოდ, კავკასიაში ყარაბაღულ ცხენს (ამბობენ არაბულიდან წარმოიშვაო). შოტლანდიური პონი სხვებთან შედარებით ძალიან პატარა ტანისაა - დაბალი, ჩაფსკვნილი, ბანჯგვლიანი ფაფარითა და ფუნჩულა ძუით, მხიარულია და მკვირცხლი, ჩვენში იშვიათად შეხვდებით, ფასობს ძალიან ძვირად; რუსული ცხენის ჯიშია ბატიუგი - ზორბა ტანის, ღონიერი, ამტანი, მძიმე ტვირთის მზიდავი.

სხვადასხვა ჯიშის ცხენი თავ-თავისებურად ემსახურება ადამიანს. კარგად მოყვანილსა და მარდ ცხენს ეტლში აბამენ. ზოგიც საჯდომადაა გამოსადეგი.

დაბალი ჯიშის ცხენები ჯოგებად ცხოვრობენ. მათი მოვლა იოლია. მაგრამ ჯიშიანი, საგანგებოდ მოშენებული ცხენების მოვლა ძნელია. მათ განსაკუთრებული კვება, მოვლა და ზრუნვა სჭირდება.

არაბები ოდითგან ძალიან ფაქიზად ეპყრობოდნენ ცხენს. რას არ ეძახდნენ სიყვარულით - „ლაღი ქარიო“, „მერცხალიო“, „მარდი არწივიო“... პირუტყვი არ დაუძახოთო, ჩემი პირუტყვი კი არა, ჩემი შვილიაო. სირბილში ქარიშხალიც ვერ აჯობებს, თვალზე უსწრაფესად მოივლის მინდორსა და ველს, წმინდაა, ვით ოქრო; ისეთი მახვილი მხედველობა აქვს, რომ ბალანიც კი არ დარჩება შეუმჩნეველი უკუნეთ ღამეშიო. არწივს ეტყვის ხოლმე: მეც შენსავით დავქრივარო. ტყვიის სტვენა მას ამხნევებს, ვერც ქარბუქი აშინებს, ვერც ავდარი; მისი ბადალი ცხენი არ არსებობს. ყველაფერი ესმის, უტყვია მხოლოდო.

არაბის კარავში ცხენი მუდამ თავისუფლად შედიოდა და ბავშვებს ძაღლივით ეთამაშებოდა. პატრონიც ნაზად და სიყვარულით ეპყრობოდა - დიდი სიფრთხილით არჩევდა უნაგირს.

შეხედეთ წმინდა ჯიშის ბედაურს - როგორ უთრთის ნესტოები, თითქოს ცეცხლი უკიდია - გიზგიზებს, ბრიალებს და ბოლი ასდის; როგორ მოუთმენლად თხრის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წას ფლოქვებით; ცეცხლოვანი თვალები ნაპერწკლებს ისვრიან, ხშირი ფაფარი ღელავს... კეთილშობილი ბედაური თითქოს ამაყობს კიდეც თავისი სილამაზით.

მამალ ცხენს ულაყი ჰქვია. დედალს - ფაშატი ან ჭაკი. შვიდ წლამდე ცხენს კვიცს ეძახიან. შვიდი წლისა კი უკვე მოზრდილად ითვლება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია უჭმელ-უსმელმა მთელი დღე ირბინოს.

ცხენის ჭკუაზე და საზრიანობაზე ლეგენდურ ამბებს ყვებიან. ცნობილია, მაგალითად, რომ იყო ცხენი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებზე თუ გაიმარჯვებდა, ამაყად მიდიოდა ტრიბუნასთან და მსაჯებისაგან ჯილდოს ითხოვდა. ცხენის უწყინარი ხასიათის და კარგი მეხსიერების წყალობით შესაძლებელია მისი დიდი ხელოვნებით გაწვრთნა - იგი იოლად სწავლობს გამოცანების ამოხსნას, კითხვებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემას თავის ქნევით; ფეხების ბაკუნით დროის გამოხატვას; მაგრამ ყველაფერ ამის მიღწევა მხოლოდ ალერსიანი მოპყრობით შეიძლება და არამც და არამც მათრახით.

ერთმა ინგლისელმა სკოლის მასწავლებელმა თურმე შოტლანდიური პონი იყიდა და ადგილობრივ მჭედელს მიუყვანა ნალების დასაჭედებლად. მეორე დღეს მჭედელმა შენიშნა ეს ცხენი უავშაროდ და უუნაგიროდ. იფიქრა, შემთხვევით მოვიდაო და გადენა. პონი დაემორჩილა, მაგრამ წამსვე დაბრუნდა. მჭედელმა ისევ შეუტია, მაგრამ უცებ შეამჩნია, რომ ცალ ფეხზე ნალი აკლდა, ამიტომ სასწრაფოდ დაუჭედა. ცხენმა წამით შეხედა მჭედელს, თითქოს ეკითხებოდა, მზად არის თუ არაო. შემდეგ რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა, და როდესაც დარწმუნდა, რომ ნალი კარგად ჰქონდა დაჭედებული, სიხარულით დაიჭიხვინა და სახლისაკენ გაქროლდა.

ცნობილი არ არის, სად და როდის მოაშინაურა ადამიანმა ცხენი. ოდესღაც ისინი ჯოგებად, დიდ რემებად (ცხენების ჯოგს რემა ჰქვია) დადიოდნენ დედამიწის ზურგზე; მაგრამ რომელი ცხოველი იყო ცხენის წინაპარი, არავინ იცის.

ველური ცხენები დღესაც ცხოვრობენ მონგოლეთში, რუსეთის საზღვრის მახლობლად უდაბნოში; ცენტრალურ აზიაში; მაგრამ მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება. არადა, დაუშვებელია ველური ცხოველების უაზრო ჟლეტა ისევე, როგორც ტყეების კაფვა, მდინარეთა და ტბების დანაგვიანება. ეს ხომ ჩვენი, ადამიანების გარემოა, ჩვენი ბუნებაა, ჩვენი სილამაზე და სიძლიერე.

შალვა ზედელაშვილი

***

ზურგზე კუზი ამოსვლია,
უდაბნოს გემს ეძახიან,
ტვირთიც მიაქვს,
ზედაც სხედან...
მითხარ, რა სახელი ჰქვია!

ირაკლი ლომოური

***

ჩვენს სამშობლოს ვინ დაიცავს,
ვინ იქნება მისი ფარი?
მეომრების დიდი გუნდი,
ყველას ერთად ჰქვია ....

***

მზე ამოვა თუ არა,
გავა ერთი წამი,
წვეთი ქრება ბალახზე,
ეწოდება ....

ლალი ჯაფარაშვილი

***

ქარწვიმებთან
ღამენათევს
არწივის შვილს
ჰქვია მ.....

***

კატამა თქვა, -
მიაუ!
ჩემს შვილს
კ.... ჰქვიაო.

***

ყვავმა
საყვავეთს
ახარა
შემეძინაო ბ.....

***

საამურია სამზერად,
თქვენც ძლიერ მოგწონთ, მჯერა,
ცხენების ერთობლიობა
ანუ ცხენების რ...

ილუსტრაცია **გიორგი ჩაჩანიძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ტიბანელი

ვაზის გოდება

ვენახის თავში ბებერ ჭერამზე მოლაღური შემოჯდა და საამოდ ამღერდა. უცებ გალობა შეწყვიტა და სმენად იქცა - დაბლიდან ყრუ კვნესა მოესმა.

- ნეტა ვინ კვნესის? - გაიფიქრა მოლაღურმა, - რქაწითელი ოხრავს, ნეტა რა აწუხებს! - ხმამაღლა წარმოთქვა და მერე ვაზთან მიფრინდა.

- ძვირფასო, ვინ გაწყენინა? რატომ ტირი? - ჰკითხა ალერსიანად და ყურებჩამოყრილ ფოთლებზე დააშტერდა. რქაწითელმა კვნესას უმატა.

- მითხარ, გეთაყვა, იქნებ ავად ხარ? წავალ, შენს გამზრდელ შადიმანს მოგიყვან, - უთხრა და ფრთები შეარხია.

- არა! - შესძახა ვაზმა და ბოძში ჩარჭობილ ალმასივით ცულს ცრემლიანი თვალებით გახედა.

ამ დროს ბულბული მოფრინდა, ვარდის ბუჩქზე ჩამოჯდა და, ის იყო, უნდა დაესტვინა, რომ ვაზის ძირში დაღვრემილ მოლაღურს მოჰკრა თვალი. მასთან მიფრინდა და ჩაეკითხა:

- ჩემს ლამაზ რქაწითელს რატომ მოუწყენია?

- არ ვიცი, რატომ, არაფერს მეუბნება, - მიუგო მოლაღურმა.

- ალბათ ავად არის, შადიმანს დავუძახებ, - თქვა ბულბულმა და აფრენა დააპირა.

- არა! - შეჰკივლა ვაზმა.

- რატომ არა, შადიმანმა შვილივით გაგზარდა, დღენიადაგ თავს გევლება, ცივ ნიავს არ გაკარებს, - თბილად უთხრა რქაწითელს ბულბულმა და ფოთლებზე მოეფერა.

ვენახს მერცხალმა გადაუფრინა. ვაზის ძირში მოწყენილ მოლაღურს და ბულბულს მოჰკრა თვალი, რაღაც ცუდი ამბავიაო, გაიფიქრა და მათთან მიფრინდა.

- რატომ შეკრებილხართ? რა მოხდა? რქაწითელს რა ატირებს? - სხაპასხუპით მიაყარა კითხვები.

- არ გვეუბნება! - ერთდროულად უპასუხეს მერცხალს მგოსნებმა და რქაწითელს თრიმლისფერ თვალებში ჩააშტერდნენ.

- ავად იქნება, ახლავე შადიმანთან გავფრინდები და აქ მოვიყვან, - თქვა მერცხალმა და ასაფრენად მოემზადა.

- არა! - ხმისკანკალით შესძახა რქაწითელმა, ნავენახარში უსულოდ დაყრილ ვაზის გორას ცრემლიანი თვალით გადახედა და ხმამაღლა აქვითინდა.

- ყვა, ყვა! - ხრინწიანი ხმით შესძახა ყვავმა, რუს პირას კაკლის ტოტზე დასკუპდა და შეკრებილთ ქედმაღლურად გადახედა.

- რამ შეგყარათ მგოსნებო, საქორწილოდ ხომ არ ემზადებით? - იკითხა ირონიულად, მათთან მიფრინდა და მტირალ რქაწითელს ბრიალა თვალები უტიფრად მიანათა.

მგოსნებმა არ უპასუხეს.

- თქვენი დუმილი და ვაზის ტირილი გასაგებია, შეხედეთ, გაჩეხილი რქაწითელის ზვინებს, მაგასაც ეგ დღე ელის და ცრემლად იმიტომ იღვრება, - წამოაყრანტალა ყვავმა და გაპრიალებულ ცულს გაეღრიჯა.

- მძორიჭამია, მყრალო, ენა მუცელში ჩაიგდე! - მკვახედ უთხრა მოლაღურმა და ცას შეხედა. ცა საავდროდ მოიღრუბლა.

- მე ხმას ჩავიგდებ, მაგრამ სიმართლეს სად გაექცევით? ადამიანებმა რქაწითელს მწვანე საზამთრო ამჯობინეს, იტირეთ რამდენიც გინდათ! შადიმანის ცულს ეგ მაინც ვერ გადაურჩება, - თქვა ყვავმა და გაფრინდა.

მგოსნებმა ენამყრალას ქოქოლა მიაყარეს.

მხატვარი ვაჟა ქურხული

ახლახან ქაიროდან აი, ამ პატარა გოგონამ – **მარიკო მაქაცარიამ** წერილი მოსწერა საბავშვო ბაღის მეგობრებს. ჟურნალ «დილას» სურვილია მარიკოს ყველა თანატოლმა წაიკითხოს ეს მშვენიერი წერილი. ყველა მისი წამკითხველი უსათუოდ დაიჯერებს, რომ რამდენი ხანიც არ უნდა მოუწიოს მარიკოს უცხოეთში ყოფნამ, დედა ენას არაფრით არ დაივიწყებს.

ჩემო შორეულო მეგობრებო, ნოდარიკო, მარიკა, ნინი, თორნიკე, ლევან, გილოცავთ სწავლის დაწყებას, 1 სეტქემბერს. თქვენ ყველანი უკვე სკოლაში მიდიხართ ალბათ. ისევ ერთად იქნებით, როგორც საბავშვო ბაღში. მე კი აქ, შორეულ ქაიროში გავხდები მოსწავლე, თუმც ჯერ 6 წლისაც არა ვარ. ქართულ სკოლაში კი არა, ინგლისურ სკოლაში მომიხდება სწავლა, მაგრამ „დედა ენა“ უკვე თითქმის ზეპირად ვიცი, წერაც მასწავლა ჩემმა დედიკომ. აქაც ბევრი მეგობარი მყავს, ყველას ძალიან ვუყვარვარ და მანებივრებს, მაგრამ თქვენ მაინც არ მავიწყდებით. რუსიკო მასწავლებელსაც ხშირად ვიხსენებ. ჩემს ბებიკოს და ბაბუას წერილებს სულ ქართულად ვწერ. არ მინდა თქვენ ჩამოგრჩეთ. რომ ჩამოვალ, გაგეჯიბრებით ქართულ წერა-კითხვაში. ნახეთ, რა ლამაზი ასოები გამომყავს.


ბებიკო!
მე შენ ძალიან!
ძალიან მეამტრეში!
ძალე ჩამოვალ
მარიკო

აი, ეს გოგონა, 7 წლის **კესანე გვეტაძე** კი იმდენი ხანია ლექსებსა და ზღაპრებს იგონებს, რომ თვითონ წერა არ იცოდა და დედა იწერდა მის თხზულებებს. ხატვა კი კესანემ წერაზე ადრე დაიწყო. „დილა“ გთავაზობთ მის ნახატს და კიდევ - ერთ პაწია ლექსს. ნეტავ, რომ გაიზრდება, რას უკეთესად შეძლებს - ხატვას თუ ზღაპრებისა და ლექსების შეთხზვას. ან იქნებ ერსაც და მეორესაც.

ფიფქები

ზამთარია, სიცივეა,
ფიფქები მოფრინავენ ციდან
და ლამაზად ეცეკვება
ფიფქი ფიფქს.

გააკეთეთ თქვენი ხელით!

როგორ დავამზადე გემი

ავიღე მოგრძო ფორმის გოგრა და სიგრძეზე გავჭერი ხერხით. დედამ ჩვეულებრივად მომიხარშა, გული კოვზით ამოვფხიკე და შევჭამე. ქერქს კი გამოშრობა ვაცალე და მერე შიგნიდან წებო (ემულსია) წავცხე (ეს იმისათვის არის საჭირო, რომ „გემის“ კედლები არ დასკდეს). შემდეგ შევუდექი მთავარ საქმეს.



თავდაპირველად ფსკერზე სიმძიმისათვის ლურსმნები და ჭანჭიკები ჩავაწყვე და პლასტილინით (შეიძლება წებოთი) ჩავაწებე (ასე გემი წყალზე მყარად იდგება და არ გადაბრუნდება), მერე ხის მოგრძო ნაჭრებით (ალბათ ასანთის ღერებითაც შეიძლება) გემბანი დავაგე, (ტრიუმში ჩასასვლელი ლუქიც გავუკეთე) და შიგ ანკესები ჩავამაგრე.

ანძები პატარა ჯოხებით, ფანქრებით და ცოცხის ღერებით დავამზადე (ძველი გემების სურათებიანი წიგნები დავათვალიერე და იმათ მივამსგავსე).

ამის შემდეგ აბრეშუმის ნაჭრებით აფრები გამოვჭერი და ანძები მსხვილი ძაფებით დავამაგრე (რაც უფრო მეტი აფრა აქვს გემს, მით უფრო სწრაფმავალია). აფრების ასაშვებად და დასაკეცად ნაპირებში ძაფი გავუყარე და კვანძი გავუკეთე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. ბოლოს ძაფის გადასახვევ გადაჭრილ კოჭს წვრილი ძეწკვები შემოვახვიე და ზედ ღუზა ჩამოვკიდე. ღუზად თავწაქლიბული (თითში რომ არ შემრჭობოდა) ანკესები (ნემსკავები) გამოვიყენე.

სულ ბოლოს კი გემი ზეთის საღებავით შევღებე.

დათა ლაფაური

10 წლის

დაეკარგა ნუცას ბოტი

თამარ მხარგრძელი

დაეკარგა ნუცას ბოტი,
ატუდა სახლში დიდი შფოთი,
მის საძებნად დიდ-ჰატარა
დაჰქრის როგორც ქარაშოტი.
ეძებს დედა, ეძებს მამა,
ცამ ჭამა თუ მიწამ ჭამა,
ეძებს ბებო, ეძებს ბაბა,
რამ გააქრო, რამ ჩაელაბა?
ძებნეს ყველგან - კარადებში,
ფარდის იქით, ფარდის აქეთ,
სერვანტიც კი გადაქექეს,
მაგრამ ბოტი ვერსად ნახეს.
მოირბინეს აივანი,
საკუჭნაო, შუშაბანდი,
თქვა ბაბიდამ: ეს იქნება
უსათუოდ ცუგას ფანდი.
სწორედ მისი ბრალი არის,
რომ ჩაცვივდნენ გლახა დღეში,
თურმე ცუგამ ნუცას ბოტი
წაათრია საქათმეში.
ნუცას უთხრა ბებო ტასომ:
- უდარდელად დაბოტებ,
თუ გინდა, რომ არ მოგტაცონ,
გაუფრთხილდი ამ შენს ბოტებს.

ჩიორას ჩივილი

საწყალი ჩიტი ჩიორა
თავის ბედ-იღბალს ჩიოდა:
ხეზე შემოვჯექ, მციოდა,
მიწაზე დავჯექ, მციოდა,
ბურის ნამცეციც არ მქონდა,
მთელი ზამთარი მშიოდა.
ერთი მელია შემიჩნდა,
ჩემთან ყოველდღე დიოდა,
მომტაცა წვრილი ბარტყები,
მზე მათზე ამომდიოდა.
იქით გამმღარი მელია
მალაყებს გადადიოდა,
აქეთ მე გული მტკიოდა,
ცხარე ცრემლები მდიოდა.

ფარშევანგი

ეს ბატარა ანგია
ვითომ ფარშევანგია,-
წელზე კოხტად შეიბამს
მარო ბებოს მარაოს,
თუ გსურს ფარშევანგობა,
ეს მარაოც კმარაო.
დაკუნტრუშობს ეზოში,
ემსგავსება ფარშევანგს,
მერე ეტრაბახება
სოფიკოს და გარსევანს.

მხატვარი გიორგი მაღლაკელიძე

ახალი კაბა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. მდიდრები არ ეთქმოდათ. მდიდრები კი არა, ღარიბ-ღატაკები იყვნენ. ცოლს ერთადერთი კაბა ჰქონდა, გაცვეთილ-გახუნებული და ჩამოძენძილ-ჩამოხეული. მთელი დღე მეტი საქმე არ ჰქონდა - დახეულ კაბას კემსავდა. საკერებლებს ქვეშ კაბა აღარც კი ჩანდა.

ერთხელ შინ დაბრუნებულმა ქმარმა დაინახა, რომ ცოლი დამჯდარა და ტირის.

- ხედავ? ისევ გამეხა კაბა! დაკერებითაც ვერაფერს დავაკერებ.

მეორე დღეს ქმარი სამუშაოდ წავიდა. რაც ფული აიღო, იმითი ახალი კაბა უყიდა ცოლს, შინ მიიტანა და უთხრა:

- მართალია, უვახშმოდ დავრჩით, მაგრამ ახალი კაბა ხომ მოგიტანე!

ცოლი ცას ეწია სიხარულით.

ქმარმა დაიძინა, ცოლმა კი საქმეს მიჰყო ხელი.

გაიღვიძა ქმარმა და რას ხედავს - ცოლს მთელი ახალი კაბა ნაკუწებად უქცევია, ძველ კაბას ახალ საკერებლებს აკერებს. ქმარმა მწარედ ამოიგმინა, ცოლმა კი უთხრა:

- მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო, სანთლითაც რომ ეძებო, ერთ ნახევსაც ველარსად ნახავ, ყველას ახალი ბებკი დავადე; და, აი, კიდევ რამდენი ნაჭერი დამრჩა, მთელი წელიწადი მეყოფა.

იტალიურიდან თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ**

მხატვარი **ანა მგალობლიშვილი**

ზინაიდა ლობჟანიძე

***

მამიკო ცუგოს მეძახის,
დედიკო - ფისუნიასა,
მფუთნიან, მეფერებიან,
არ მაკარებენ ნიავსა.
ვაჟკაცად როგორ ვივარგებ
ასეთ ეოფაში გაზრდილი,
ბარემ ჩამაცვან კაბა და
თავზე დამხურონ მანდილი.

ოთარ კავკასიძე

ჩემო ცუგო

ჩემო ცუგო, ჰატარავ,
იცი, როგორ მიუვარხარ?!
ეგეთ გრძელ კუდს, მითხარი,
ღამით სადღა ინახავ?

მხატვარი **თამარ ქალდანი**

ლოგოგრიფი

„დილაში“, ჩვენო მკითხველო, შეგხვედრია სხვადასხვაგვარი შარადები და გამოცანები. გახსოვს, ალბათ, რა არის **მეტაგრამა** - ერთი სიტყვიდან რომელიმე ასოს შეცვლით სხვა სიტყვის მიღება (მაგალითად, მარტის მეტაგრამა მარში, მარშისა - ფარში; სარის - ჯარი, ღარი, ნარი, ლარი და ა.შ.) **ანაგრამა** არის ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვის მიღება ასოების გადაადგილებით (მაგალითად, საათი - ათასი; ვაზი - ზავი და ა.შ.). აი, გამოცანა-ლოგოგრიფი კი, მგონი არ იცი რა არის. ლოგოგრიფი ისეთი შარადაა, რომელშიც სიტყვა სხვა მნიშვნელობას იძენს, თუ ან ჩავამატებთ ერთ ან რამდენიმე ასოს, ან, პირიქით, ამოვაკლებთ. მაგალითად: პოლუსის ლოგოგრიფია პლუსი (ამოვარდა ასო ო), ღილისა - ღვიძლი (ჩაემატა ვ და ძ).

ახლა კი ამოხსენი რამდენიმე ასეთი შარადა:

1. ლოგოგრიფი: ერთგვარი ხილი, თუ გამოაკლებ ორ ასოს, დარჩება სიტყვა, რაც ნიშნავს ლაქას ადამიანისა თუ ცხოველის კანზე; ახლა ამ სიტყვას დააკელი ასო - დაგრჩება ცეცხლის მნათი ნაწილი; კიდევ ერთი ასოთი შეამცირე სიტყვა და მიიღებ ცნობილი კარატისტის გვარს (მისი სახელი იყო ბრუს).

2. ისევ ხილი, ხილთა მეფედ წოდებული. ამოაკელი ერთი ასო და დაგრჩება სიტყვა „მოვალეობის“ სინონიმი, ე.ი. იგივე მნიშვნელობის მაგიერი სიტყვა. კიდევ ერთი ასოთი ნაკლები - და ისევ ცეცხლის მნათ ნაწილს მიიღებ. თუ საწყის სიტყვას ორ ასოს ამოაკლებ, დაგრჩება შორისდებული, რომელიც გამოხატავს ან ტკივილს, ან შიშს, ან სინანულს...

ახლა ამავე სიტყვიდან გააკეთე მეტაგრამა - ეს არის ყველასათვის საყვარელი თხელი და მსუბუქი, ლამაზნაჭდევებიანი ნამცხვარი, ამ ნამცხვრის დასახელებიდან კი მიიღება ანაგრამა - ასევე ძალიან გემრიელი საჭმელი, რომელიც ბრინჯით მზადდება (შეიძლება გაკეთდეს ხორციანიც, ტკბილიც, საღი თუ ხმელი ხილით ან მურაბით, და სოკოიანიც...).

3. საწყისი სიტყვა ნიშნავს სასიამოვნო გემოს მქონეს. ამ სიტყვის ლოგოგრიფია ძვლოვანი ამონაზარდი, რომელსაც სხვათაშორის აფუჭებს აი, იმ სასიამოვნო გემოს მქონე რაღაცის უზომო ჭამა. მეორე სიტყვის მეტაგრამაა ისეთი რამ, რაც ადვილად იცვლის ფორმას, იღუნება, იზნიქება, იჭყლიტება... ხოლო ამ სიტყვის ანაგრამაა ლაქა თვალის გუგაზე (იგივე ბისტი), რომელიც ხედვას უშლის ადამიანს.

ძველი ინდოეთი

რომანოზ დანელია



უძველესი დროიდან ინდოეთს მთელი მსოფლიო იცნობდა, როგორც „სასწაულების ქვეყანას“. ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში ინდოეთი მოინახულეს ბერძნებმა. მათი თქმით, აქ ამზადებდნენ თეთრ, ტკბილ ქვას, რომელიც, პირში თუ ჩაიდებდი, დნებოდა. მიხვდით, ალბათ, რომ ეს შაქარი იყო. ბამბის მოყვანაც პირველად ინდოელებმა დაიწყეს.

რიცხვების აღნიშვნის სისტემა, რომლითაც დღეს მთელი მსოფლიო სარგებლობს, ინდოელებმა გამოიგონეს; ინდოელებისაგან არაბებმა გადაიღეს, არაბებისაგან კი ევროპაშიც გავრცელდა. რადგან ეს სისტემა არაბებისაგან გადავიღეთ, დღემდე მას არაბულს ვუწოდებთ, სინამდვილეში კი იგი ინდოეთშია შექმნილი. ამ სისტემაში ყოველი რიცხვი ჩაიწერება ათი ციფრის მეშვეობით. ეს ციფრებია: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.

არ არსებობს ისეთი მიღწევა მათემატიკის დარგში, თავისი სიდიადით ინდოელ მეცნიერთა ამ აღმოჩენას რომ შეედრებოდეს. მაგრამ მეცნიერებისათვის დღემდე უცნობია იმ ინდოელ სწავლულთა სახელები, რომლებიც ამ აღმოჩენის სათავეებთან იდგნენ.

ზხატყვარი ნანა სანაია

გილოცავთ
ახალ სასწავლო წელსა და დაბადების დღეს

თათია გოგიბერიძე

ალექსანდრე კაჭარავა

მარიამ გუტიკაშვილი

ნია წივწივაძე

სალომე მდინარაძე

გუგაზ აბუთიძე

მარიამ კურდღელაშვილი

სანდრო გეგეჭკორი
სალომე ჯოხაძე

თამარ აბასაძე

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე

სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანა კვარაცხელია, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30

გამოდის 1904 წლიდან

ყდაზე ნახატი ზაურ დეისაძისა

დაბეჭდილია ბულგარეთში სარეკლამო გამომცემლობა „ლაზიერის“ მიერ

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი

ხელმომწერთათვის: 2 ლარი